ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 126

ქ. თბილისი 20.04.2021 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ალმე", წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე მელიქიძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT210004368** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება;
2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია: ახალციხის რაიონული სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. (CPV-45400000).
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება და აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 59997.99 (ორმოცდაცხრამეტიათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ბეჟან მესხი ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომელი(ები) .
5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშოების მიღება-ჩაბარება წარმოებს სამუშაოების დასრულების შემდგომ ორმხრივად ხელმოწერილი ფორმა #2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების შემთხვევაში - ექსპერტიზის დადებით დასკვნის

გათვალისწინებით. ფორმა #2 წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებას და რომელიც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერილია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

6.2. მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ხელისმოწერით მოწმდება წარმოდგენილი ფორმა#2-ის/ების საფუძველზე და მათზე სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ფორმა #2(ების) მიხედვით შედგენილი (წარმოდგენილი) ექსპერტიზის დასკვნა გულისხმობს ფორმა #2(ების) კორექტირებას, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველს წარმოადგენს კორექტირებული ფორმა #2 (ები). ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობა და ჯეროვნება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ფორმა #2 შესაბამისად.

6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

7. სამუშაოების შესრულების პირობები და გარანტია

7.1 ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღე; თუ შესრულების ბოლო დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, შესრულება გადაიწევს პირველივე სამუშაო დღეზე.

7.2 დრო, რომელიც ესაჭიროება შემსყიდველს ექსპერტიზის განსახორციელებლად არ ჩაითლვება სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადებში (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). ამასთან ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის/შეუსრულებლობის დადგენის შემთხვევაში, ექსპერტიზის მიმდინარეობის ვადა მიეთვლება ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას და დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02% ოდენობით. ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, გამოსწორებულ ხარვეზზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი (ექსპერტიზა ჩატარებული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ). სამუშო გამოსწორებული უნდა იყოს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.3 სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ,ახალციხე, მებაღიშვილის ქN62 (ახალხიცის რაიონული სასამართლო)

7.4 საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 3(სამი) წელს;

საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტი, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.5 სამუშაოები უნდა წარმოებდეს თანდართული დეფექტური აქტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით.

ა) სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად ნარჩენების გატანას და ტერიტორიის დასუფთავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით,

ბ) მიმწოდებელი სამუშაოების წარმოების პროცესში ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული ყველა წესი, უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული წესების დაუცველობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრულად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

დ) მიმწოდებელმა სახანძრო სისტემების უკან მონტაჟის შემდგომ სისტემის გამართულად მუშაობის საბოლოო ტესტირება უნდა ჩაატაროს არსებული სახანძრო სისტემის მემონტაჟე შ.პ.ს. „ელ +“-ის წარმომადგენლებთან ერთად;

ე) საჭიროების შესაბამისად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, სასამართლოს პერსონალისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვისთვის, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო პერიმეტრის შემოსაზღვრა დამცავი ბარეიერებისა ან/და გამყოფი ლენტების მეშვეობით;

ვ) მიმწოდებელმა შენობაში სამუშაო რეჟიმის შენაჩუნების მიზნით, უნდა უზრუნველყოს უწყვეტი ელ.მომარაგების უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაციის პროცესში, სასამართლოს პერსონალთან კოორდინაციაში, ავეჯის და ინვენტარის გადაადგილების უზრუნველყოფა.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3. დაფინანსების წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;
8.4. შესრულებული სამუშაოების 80% მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა N2-ის მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
8.5 შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნის და მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს

პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. სამუშოების შესრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% ოდენობით, თითოეული დღისთვის. ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს გაფრთხილებით და განუსაზღვრავს შესაბამის სამუშაოების დასრულებისთვის გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
12.4. ამ მუხლის 12.3. პირობის დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უკვე შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელება. უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.
12.5. თუ დაყოვნება ან ვადის გადაცილება არ არის დამოკიდებული მიმწოდებლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ან გამოწვეულია შემსყიდველის მიერ, პირგასამტეხლო არ გამოიყენება.
12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #6
ს/კ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:

შპს "ალმე"
ს/კ 423099925
მის: ასპინძის რაიონი, სოფ.ტოლოში
სს“თიბისი ბანკი" TBCBGE22
GE74TB7980136080100003

ალექსანდრე მელიქიძე
დირექტორი

LTD„ALME"
Digitally signed by LTD„ALME"
Date: 2021.04.20 19:51:55 +04'00'

ახალციხის სასამართლოს სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

	სამუშაოების დასახელება	გაზომ. ერთ.	რაოდენ	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფას	ჯამი	ერთ.ფას	ჯამი	
	წინაფრა							
1	პარაპეტის გადახურვის დემონტაჟი	კვმ	6.00	0.00	0.00	6.00	36.00	36.00
2	პარაპეტის მოწყობა ფერადი მოთუთიებული 0.5მმ ფურცლით	კვმ	14.00	16.00	224.00	6.00	84.00	308.00
3	ინდაოს მოწყობა მოთუთიებული ფერადი ფერადი თუნუქით სისქით 0,5 მმ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	8.00	16.00	128.00	6.00	48.00	176.00
4	წყალსაწრეტი მილების მოწყობა ფერადი მოთუთიებული 0.5მმ ფურცლით დ 100მმ	გრძმ	6.00	15.00	90.00	6.00	36.00	126.00
5	წყალმიმღები ძაბრების მოწყობა ფერადი მოთუთიებული 0.5მმ ფურცლით დ 100მმ	ც	2.00	25.00	50.00	6.00	12.00	62.00
6	წყალმიმღები მუხლების მოწყობა ფერადი მოთუთიებული 0.5მმ ფურცლით დ 100მმ	ც	2.00	15.00	30.00	6.00	12.00	42.00
8	ჭერისა და წიბოების დამუშავება შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	42.49	8.00	339.92	8.00	339.92	679.84
9	მოცულობითი ასოების მოწყობა არანაკლებ 12სმ სიმაღლე ოქროსფერი ორაკალით, ორგმინა, ტრიმი (ვიზუალი იხილეთ თანდართულ ფაილებში)	ც	27	45.50	1228.50	6.00	162.00	1390.50
10	გარე სამონტაჟო დამზადებული ლაზერული პლასტიკით, ორგმინით და ორაკალით, საქართველოს სახელმწიფო გერბის მოწყობა სიგანით 55 სმ, სიმაღლით 60სმ. (ვიზუალი იხილეთ თანდართულ ფაილებში) ბეტონპანის დაფის მოწყობის თანმდევი სამუშაოებით	ც	1	250.00	250.00	6.00	6.00	256.00
11	ფერდოების შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ	კვმ	2.78	6.00	16.68	6.00	16.68	33.36
12	არსებული იზოალუმინის კარის დარეგულირება	ც	1	0.00	0.00	50.00	50.00	50.00
	სამედიაციო სივრცე							
1	ინტერნეტ როზეტის მოწყობა თანმდევი სამუშაოებით და მასალებით და არსებულ ქსელზე დაერთობით	კომპ.	2.00	15.00	30.00	15.00	30.00	60.00
2	კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით	კვმ	53.53	6.00	321.18	6.00	321.18	642.36
	შშმპ სველი წერტილის მოწყობა							
1	მდფ-ის კარების დემონტაჟი დასაწყობებით	კვმ	1.76	0.00	0.00	15.00	26.40	26.40
2	მდფ-ის კარების მოწყობა საკეტით, სრული კომპლექტი, ორმხრივი გაღებით (დიზაინი და ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)	კვმ	2.20	350.00	770.00	50.00	110.00	880.00
3	შშმპ ხელსაბანის მოწყობა ონკანით, სრული კომპლექტი	ც	1.00	250.00	250.00	50.00	50.00	300.00
	კიბის უჯრედი (ცენტრალური)							
1	ამსტრონგის ჭერის დემონტაჟი	კვმ	22.80	0.00	0.00	4.00	91.20	91.20
3	ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	22.80	14.00	319.20	5.00	114.00	433.20
3	კედლების დამუშავება შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, კიბის მარშების ჩათვლით ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	188.20	6.00	1129.20	6.00	1129.20	2258.40
4	სახანძრო კიბის მოწყობა 40*40*3მმ მილკვადრატით	გრძმ	2.50	50.00	125.00	6.00	15.00	140.00
	რკინის კონსტრუქციების ღებვა ნიტროსაღებავით ორჯერ	გრძმ	11.00	1.00	11.00	1.00	11.00	22.00
	მანდატურის ოთახი							
1	ლამინირებული იატაკის დემონტაჟი	კვმ	11.94	0.00	0.00	6.00	71.64	71.64
2	სანათის დემონტაჟი	ც	2	0.00	0.00	6.00	12.00	12.00
3	მაღალხარისხოვანი ლამინირებული იატაკის მონტაჟი, არანაკლებ 12მმ სისქით, 33 კლასის, ფერი დამკვეთტან შეთანხმებით, პლინტუსების ჩათვლით	კვმ	11.94	30.00	358.20	6.00	71.64	429.84
4	კედლებიდან შპალიერის დემონტაჟი	კვმ	37.58	0.00	0.00	6.00	225.48	225.48
5	კედლების დამუშავება, შეფითხვნა და კედლებზე ფრიზელინის გაკვრა	კვმ	37.58	6.00	225.48	6.00	225.48	450.96
6	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	37.58	6.00	225.48	6.00	225.48	450.96
7	ჭერის დამუშავება შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით,	კვმ	11.94	5.00	59.70	5.00	59.70	119.40
8	გარე მიყენების დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	1	30.00	30.00	6.00	6.00	36.00
	საქმის გასაცწობი ოთახი							
1	ლამინირებული იატაკის დემონტაჟი	კვმ	7.88	0.00	0.00	6.00	47.28	47.28
2	სანათის დემონტაჟი	ც	1	0.00	0.00	6.00	6.00	6.00
3	მაღალხარისხოვანი ლამინირებული იატაკის მონტაჟი, არანაკლებ 12მმ სისქით, 33 კლასის, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით, პლინტუსების ჩათვლით	კვმ	7.88	30.00	236.40	6.00	47.28	283.68
4	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	31.84	6.00	191.04	6.00	191.04	382.08
5	ჭერის შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით,	კვმ	7.88	5.00	39.40	5.00	39.40	78.80
6	გარე მიყენების დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	1	30.00	30.00	6.00	6.00	36.00
7	ალუმინის ჟალუზების მოწყობა კარზე	კვმ	1.64	25.00	41.00	6.00	9.84	50.84
	დარბაზი 1							
1	თაბაშირმუყაოს ჭერის დემონტაჟი	კვმ	43.00	0.00	0.00	3.00	129.00	129.00
2	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	38.17	6.00	229.02	6.00	229.02	458.04
3	ჭერზე ალუმინის პერფორირებული ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	43.00	42.00	1806.00	6.00	258.00	2064.00

4	შიდა მიყენების ამსტრონის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	8	30.00	240.00	6.00	48.00	288.00
	დარბაზი 2							
1	თაბაშირმუყაოს ჭერის დემონტაჟი	კვმ	65.50	0.00	0.00	3.00	196.50	196.50
2	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	55.39	6.00	332.34	6.00	332.34	664.68
3	ჭერზე ალუმინის პერფორირებული ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე (იხ.ნიმუში)	კვმ	65.50	42.00	2751.00	6.00	393.00	3144.00
4	შიდა მიყენების ამსტრონგის ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	8	30.00	240.00	6.00	48.00	288.00
	დარბაზი 3							
1	თაბაშირმუყაოს ჭერის დემონტაჟი	კვმ	37.92	0.00	0.00	3.00	113.76	113.76
2	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	32.85	6.00	197.10	6.00	197.10	394.20
3	ჭერზე ალუმინის პერფორირებული ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	37.92	42.00	1592.64	6.00	227.52	1820.16
4	შიდა მიყენების დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	6	30.00	180.00	6.00	36.00	216.00
	დარბაზი 4							
1	თაბაშირმუყაოს ჭერის დემონტაჟი	კვმ	80.96	0.00	0.00	3.00	242.88	242.88
2	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	66.81	6.00	400.86	6.00	400.86	801.72
3	ჭერზე ალუმინის პერფორირებული ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	80.96	42.00	3400.32	6.00	485.76	3886.08
4	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	10	30.00	300.00	6.00	60.00	360.00
	მეწეკერის ოთახი							
1	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	41.80	6.00	250.80	6.00	250.80	501.60
2	ჭერზე ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	17.14	14.00	239.96	5.00	85.70	325.66
3	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	2	30.00	60.00	6.00	12.00	72.00
	თავმჯდომარის ოთახი							
1	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	64.60	6.00	387.60	6.00	387.60	775.20
2	ჭერზე ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	36.59	14.00	512.26	5.00	182.95	695.21
3	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	6	30.00	180.00	6.00	36.00	216.00
	თავმჯდომარის მისაღები ოთახი							
1	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	42.50	6.00	255.00	6.00	255.00	510.00
2	ჭერზე ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მოწყობა ლითონის კონსტრუქციაზე	კვმ	11.80	14.00	165.20	5.00	59.00	224.20
3	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	2	30.00	60.00	6.00	12.00	72.00
4	არსებული რადიატორის კედელზე დამაგრება, დაწნეხვა, ტესტირება	ც	1.00	0.00	0.00	50.00	50.00	50.00
	თავმჯდომარის ოთახთან მიმდებარე სველი წერტილი							
1	მოჭიქული ფილებისა და ნალესის დემონტაჟი	კვმ	9.52	0.00	0.00	6.00	57.12	57.12
2	იატაკის დემონტაჟი კონსტრუქციამდე	კვმ	2.55	0.00	0.00	6.00	15.30	15.30
3	ჭერის დემონტაჟი	კვმ	2.55	0.00	0.00	6.00	15.30	15.30
4	უნიტაზის დემონტაჟი	ც	1.00	0.00	0.00	6.00	6.00	6.00
5	ხელსაბანის დემონტაჟი	ც	1.00	0.00	0.00	6.00	6.00	6.00
6	კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	კვმ	9.52	6.00	57.12	6.00	57.12	114.24
7	მოჭიქული ფილებით კედლების მოწყობა	კვმ	2.55	18.00	45.90	6.00	15.30	61.20
8	იატაკზე 5სმ ქვიშა-ცემენტის მჭიმის მოწყობა	კვმ	17.20	4.00	68.80	6.00	103.20	172.00
9	იატაკის მოწყობა მოჭიქული ფილებით	კვმ	2.55	18.00	45.90	6.00	15.30	61.20
10	ჭერის მოწყობა ნესტგამძლე ამსტრონგის ფილებით	კვმ	2.55	14.00	35.70	5.00	12.75	48.45
11	შიდა ამსტრონგის ლედ-სანათის მოწყობა 80 ვატისა	ც	1.00	30.00	30.00	6.00	6.00	36.00
12	უნიტაზის მოწყობა ჩამრეცხით	ც	1.00	190.00	190.00	6.00	6.00	196.00
13	ხელსაბანის მოწყობა	ც	1.00	130.00	130.00	6.00	6.00	136.00
14	შემრევი ონკანის მოწყობა	ც	1.00	45.00	45.00	6.00	6.00	51.00
15	ტრაპის მოწყობა	ც	1.00	45.00	45.00	6.00	6.00	51.00
16	კანალიზაციის მილის დ 100 მონტაჟი	გრძმ	0.50	5.00	2.50	6.00	3.00	5.50
17	კანალიზაციის მილის დ 50 მონტაჟი	გრძმ	1.50	3.00	4.50	6.00	9.00	13.50
18	პოლიპროპილენის დ20 მილის მონტაჟი	გრძმ	8.00	1.00	8.00	6.00	48.00	56.00
19	არკოს ონკანი	ც	3.00	20.00	60.00	6.00	18.00	78.00
20	დრეკადი მილი	ც	3.00	10.00	30.00	6.00	18.00	48.00
21	ფასონური ნაწილების მონტაჟი	ც	14.00	5.95	83.30	6.00	84.00	167.30
22	არისტონის ტიპის წყლის 30 ლიტრიანი გამაცხელებლის მონტაჟი	ც	1.00	200.00	200.00	50.00	50.00	250.00
	მე-4 დარბაზის შესასვლელი ფოიე							
1	კედლებიდან ფრიზელინის დემონტაჟი	კვმ	2.00	0.00	0.00	6.00	12.00	12.00
2	კედლების დამუშავება, შეფითხვნა და კედლებზე ფრიზელინის გაკვრა	კვმ	2.00	6.00	12.00	6.00	12.00	24.00
3	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	84.00	6.00	504.00	6.00	504.00	1008.00
4	ამსტრონგის ჭერის დემონტაჟი	კვმ	66.00	0.00	0.00	4.00	264.00	264.00

5	ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	66.00	14.00	924.00	5.00	330.00	1254.00
6	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	8	30.00	240.00	6.00	48.00	288.00
7	კარებზე შესაბამისი თასმების მოწყობა	გრძმ	10	12.54	125.40	6.00	60.00	185.40
	მე-3 დარბაზის შესასვლელი ფოიე							
1	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	70.44	6.00	422.64	6.00	422.64	845.28
2	ჭერის დამუშავება შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით,	კვმ	23.51	5.00	117.55	5.00	117.55	235.10
3	გარე მიყენების ამსტრონიგს დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	4	30.00	120.00	6.00	24.00	144.00
	დერეფანი							
1	კედლებიდან ფრიზელინის დემონტაჟი	კვმ	76.12	0.00	0.00	6.00	456.72	456.72
2	კედლების დამუშავება, შეფითხვნა და კედლებზე ფრიზელინის გაკვრა	კვმ	76.12	6.00	456.72	6.00	456.72	913.44
3	კედლების შეღებვა ორჯერ მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით, ფერდილების ჩათვლით, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით	კვმ	76.12	5.00	380.60	5.00	380.60	761.20
4	ამსტრონგის ჭერის დემონტაჟი	კვმ	19.33	0.00	0.00	4.00	77.32	77.32
5	ამსტრონგის ნესტგამძლე ფილების მონტაჟი ლითონის კარკასზე	კვმ	19.33	14.00	270.62	5.00	96.65	367.27
6	შიდა მიყენების ამსტრონგის დიოდური ლედი 60სმ*60სმ სანათების მოწყობა სიმძლავრით 80 ვტ	ც	4	30.00	120.00	6.00	24.00	144.00
	ღიობები							
1	კარების დამუშავება და ორჯერ ღებვა ნიტროსაღებავით	კვმ	59.40	5.00	297.00	2.00	118.80	415.80
2	ფანჯრის რაფების დემონტაჟი	კვმ	45	0.00	0.00	2.00	90.00	90.00
3	მეტალოპლასტმასის ფანჯრის რაფების მონტაჟი,	კვმ	45	6.00	270.00	2.00	90.00	360.00
	ნაგვის ავტომანქანით გატანა	ტ	9.23	0.00	0.00	2.52	23.26	23.26
	ჯამი				25871.73		12845.28	38717.01
	ზედნადები ხარჯები (არაუმეტეს 10 %)	10%						3871.70
	ჯამი							42588.71
	გეგმიური დაგროვება (არაუმეტეს 8 %)	8%						3407.10
	ჯამი							45995.81
	ელექტროსამონტაჟო სამუშაოები							
1	როზეტების მოწყობა	ც	39	6.00	234.00	2.05	79.95	313.95
2	ჩამრთველების მოწყობა	ც	10	6.00	60.00	2.00	20.00	80.00
	სპილენძის ელ სადენი, ორმაგი იზოლაციით, 3*2,5	გმ	115.00	2.50	287.50	2.00	230.00	517.50
	ჯამი				581.50		329.95	911.45
	ზედნადები ხარჯები ხელფასიდან (არაუმეტეს 75%)	55%						181.47
	ჯამი							1092.92
	გეგმიური დაგროვება (არაუმეტეს 8%)	8%						87.43
	ჯამი							1180.36
	სულ ჯამი				26453.23		13175.23	47176.16
	სახანძრო სისტემის დემონტაჟი მონტაჟი, პროგრამირება, ტესტირება	კომპ.	1.00	0.00	0.00	200.00	200.00	200.00
	სულ ჯამი				26453.23		13375.23	47376.16
	სატრანსპორტო ხარჯები (არაუმეტეს 3%)	3%						793.60
	ჯამი							48169.76
	გაუთვალისწინებელი ხარჯები (შეცვლა დაუშვებელია)	5%						2408.49
	ჯამი							50578.25
	საპენსიო ფონდი (შეცვლა დაუშვებელია)	2%						267.50
	ჯამი							50845.75
	დღგ	18%						9152.24
	საბოლოო ჯამი							59997.99

LTD,,ALME"

Digitally signed by LTD,,ALME"
Date: 2021.04.08 20:17:30 +04'00'